# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 181

„5" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, მარნეულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ალექსანდრე ბერიძის სახელის მინიჭების შესახებ**

**1.** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6-27 გადაწყვეტილებისა და "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) კრწანისის რაიონში, სოფ ფონიჭალაში, მარნეულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ფერმწერ ალექსანდრე ბერიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

**2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე      გიორგი ალიბეგაშვილი


X_493023.8104
Y_4611134.1973
X_493210.3696
Y_4610815.4495